მემორანდუმი

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ერთი მხრივ, სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში "უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში Tempus IV-ის კოორდინატორის, პროფესორ ინდირა ძაგანიას სახით და, მეორე მხრივ, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია (შემდგომში "ასოციაცია"), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის კონსტანტინე ნანობაშვილის სახით, შემდგომში "მხარეები" თანხმდებიან თანამშრომლობის შესახებ.

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები ვაცნობიერებთ:

- უმაღლესი განათლების სფეროში სოციალური პარტნიორობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას;
- შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების სისტემის მორგებულობის აუცილებლობას;
- სოციალური პარტნიორების როლს კონკრეტული პროფესიების განვითარებაში;
- მეწარმეობის ინტეგრაციის ხელშეწყობის პროცესს უმაღლესი განათლების სისტემაში.

მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე:

1. "უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში "ასოციაციის" მონაწილეობას სტუდენტების მომზადებაში თანამედროვე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინების მიზნით.

2. "მხარეები" უზრუნველყოფენ შრომის ბაზარზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

3. "უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს სწავლების პროცესში "ასოციაციის" აქტიურ ჩართულობას.

4. "უნივერსიტეტი" უზრუნველყოფს ბიზნესს წრეების ინტეგრაციას სტუდენტის მომზადების პროცესში.

5. "მხარეები" უზრუნველყოფენ საწარმოებში ან სხვა სტრუქტურებში მომუშავე სპეციალისტების მოწვევას უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად.

6. "ასოციაცია" უზრუნველყოფს სტუდენტების სტაჟირებას, პრაქტიკას და მათი მიმდინარეობის სრულყოფას.

7. "ასოციაცია" ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულების დასაქმებას.

8. "მხარეები" ერთობლივად შეიმუშავებენ სასწავლო და სამეწარმეო პარტნიორობის წამახალისებელ მექანიზმებს.

9. "მხარეები" ერთობლივად უზრუნველყოფენ მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების მონიტორინგს.

მემორანდუმი ძალაში შედის "მხარეთა" მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს "მხარეთა" მიერ სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე ვალდებულია ამის თაობაზე მემორანდუმის შეწყვეტამდე არაუგვიანეს ერთი თვისა აცნობოს მეორე მხარეს.

მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მემორანდუმში "მხარეთა" ორმხრივი შეთანხმების გათვალისწინებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში, 2011 წლის 12 ოქტომბერს, ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება "მხარეებთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

"უნივერსიტეტი"	"ასოციაცია"
თბილისი, პოლიტკოვსკაიას 9.	თბილისი, ლვოვის 88.
Tempus-ის კოორდინატორი	აღმასრულებელი დირექტორი
ინდირა ძაგანია	კონსტანტინე ნანობაშვილი